კორპორატიული ელექტრონული ფოსტის და სხვა ქლაუდ მომსახურების/ლიცენზიების შესყიდვა

ლიცენზიების მოქმედების ვადა უნდა იყოს 3 (სამი) წელი

მომხმარებლების / ლიცენზიების რაოდენობა:

100 მომხმარებელი / ლიცენზია 1, სივრცე თითოეულ მომხმარებელს არანაკლებ 25 GB-სა.
100 მომხმარებელი / ლიცენზია 2, სივრცე თითოეულ მომხმარებელს არანაკლებ 1.5 TB-სა.

ლიცენზიების რაოდენობა წარმოადგენს ხელშეკრულების ვადის განმავლობაში გამოყენებად მაქსიმალურ რაოდენობას, თუმცა დამკვეთი უფლებამოსილია ცვალოს (გაზარდოს და/ან შეამციროს) აქტიურ მომხმარებელთა (მომხმარებლის ანგარიშები) რაოდენობა ყოველთვიურად, საჭიროების მიხედვით. ახალი მომხმარებლების ანგარიშების შექმნა ძველის სანაცვლოდ. შესყიდვა მოხდება მომხმარებლების განსაზღვრული რაოდენობის ერთი წლის წინასწარ ანგარიშსწორებით.
იმ შემთხვევაში თუ დამკვეთს დაჭირდება ლიცენზიების რაოდენობის ზრდა, სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში, ელ-წერილით მიმართვის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს ლიცენზიების დამატება დამკვეთის მიერ ფინანსური ანგარიშსწორებისთანავე.

სერვისის აღწერა

სერვისს უნდა ჰქონდეს კომბინირებულად შემდეგი ონლაინ არანაკლებ აპლიკაციები/ფუნქციონალი:

- პლატფორმა უნდა იყოს ღრუბლოვანი;
- კორპორატიული ელ-ფოსტა;
- ვიდეო და აუდიო შეხვედრების პლატფორმა;

- დოკუმენტების ცხრილებისა და პრეზენტაციების ონლაინ პლატფორმა;
- გაზიარებადი კალენდარები;
- ვიდეჩართვების ჩაწერა და ღრუბლოვან საცავში შენახვის შესაძლებლობა;
- ღრუბლოვანი ფაილსაცავის დესკტოპ/ბრაუზერი და მობილური აპლიკაციები;
- კორპორატიული ჩეთი;
- ჯგუფური ჩეთი;
- მომხმარებლების მართვის პანელი;

სერვისები უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ შემდეგ მოთხოვნებს:

1. კორპორატიული მეილი უნდა შეიქმნას კომპანიის დომენზე username@1tv.ge;
2. უნდა შეიძლებოდეს Mail ალიასების დამატება კომპანიის სხვა დომენებით;
3. უნდა შეიძლებოდეს ალიასებით მეილის გაგზავნის შესაზლებლობა;
4. უნდა შეიძლებოდეს სხვა დომენების დამატება და მათზე ანგარიშების გახსნა;
5. Inbox-ის მოცულობა: თითოეულ მომხმარებელზე არანაკლებ 25 GB (ლიცენზია 1) და 1.5 TB (ლიცენზია 2) საჭიროებისამებრ;
6. მეილს უნდა შეეძლოს მინიმუმ 20 მეგაბაიტი მიმაგრებული ფაილის გაგზავნა/მიღება;
7. მეილის გაგზავნისას უნდა იყოს შესაძლებელი ავტომატურად მიემაგროს თანამშრომლის სტატუსი, კომპანიის დასახელება, ლოგო, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა;
8. საფოსტო დესკტოპ აპლიკაციასთან თავსებადობა და მუშაობის შესაძლებლობა;
9. შესაძლებლობა ელ. ფოსტაზე წვდომისა ვებ ბრაუზერით;
10. უნდა ჰქონდეს იმავე მწარმოებლის მობილური აპლიკაციები android და iOS პლატფორმებისთვის.
11. კონტაქტები - სისტემას უნდა გააჩნდეს კონტაქტების შენახვის, მართვის და სინქრონიზაციის საშუალება; უნდა გაიმიჯნებოდეს შიდა და გარე მეილ მისამართები. შესაძლებელი უნდა იყოს იმეილ მისამართების დაჯგუფება;
12. ინტეგრირებული კალენდრის მეშვეობით უნდა შეეძლოს შეხვედრების დაგეგმვა. (როგორც ვებ, ასევე დესკტოპ ვერსიებს);
13. ყველა მეილბოქსი დაცული უნდა იყოს ანტივირუსით და ანტისპამით. მავნე პროგრამებისგან დაცვა და არასასურველი ფოსტის ფილტრაცია და მართვის პანელი;
14. მეილ სერვერს უნდა ჰქონდეს ლოკალურ აქტივ დირექტორიასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა;

15. ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ დოკუმენტების გაზიარების შესაძლებლობა და მონიტორინგი/კონტროლი იმისა თუ ვის შეუძლია დოკუმენტის ნახვა/კორექტირება, ისტორიის შენახვა თუ ვის მიერ მოხდა ფაილში ცვლილებების შეტანა;
16. უნდა მოხდეს ელექტრონული ფოსტის კალენდარისა და კონტაქტების სინქრონიზაცია მომხმარებლის მოწყობილობებს შორის რეალურ დროში.
17. მოწყობილობის დაკარგავის შემთხვევაში, ადმინისტრატორის მართვის პანელიდან შესაძლებელი უნდა იყოს ქსელში მყოფ მოწყობილობაზე კორპორატიულ რესურსებზე ინფორმაციის დაბლოკვა / წაშლა / სისტემიდან გამოყვანა.
18. სისტემას უნდა შეეძლოს კალენდარებში შეხვედრებისა/ვიდეოშეხვედრების ჩანიშვნა მინიმუმ 100 დამსწრე, კალენდარის გაზიარება გუნდის სხვა წევრებთან;
19. უნდა ქონდეს ღრუბლოვანი ფაილსაცავი, სადაც (ფაილ საცავზე) უნდა ქონდეს ჰწვდომა ბრაუზერით, მობილური Android / iOS და Windows და Mac OS აპლიკაციებით, დესკტოპ აპლიკაციებით.
20. სისტემას უნდა ჰქონდეს ფაილების გაზიარების საშუალება, მათზე უფლებების კონტროლი, როგორც კომპანიის შიგნით ისე კომპანიის გარეთ ინტერნეტით;
21. სერვისს უნდა ჰქონდეს ინტეგრირებული კორპორატიული ჩათი, ჯგუფური ჩათი;
22. სერვისს უნდა ჰქონდეს, დავალებების შექმნის და მართვის შესაძლებლობა;
23. სერვისს უნდა ჰქონდეს დოკუმენტების რედაქტორთან, ცხრილებთან, პრეზენტაციებთან სამუშაო ონლაინ აპლიკაციები ბრაუზერით და Android და iOS აპლიკაციებით.
24. ერთი და იგივე (დოკუმენტთან, პრეზეტაციასთან და ცხრილებთან) ფაილთან რამოდენიმე თანამშრომლის ერთდროულად მუშაობის შესაძლებლობა, რის დროსაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს ვინ რა სახის ინფორმაციაზე მუშაობს.
25. ვიდეო/აუდიო შეხვედრების გამართვის შესაძლებლობა, შეხვედრაზე უნდა შეიძლებოდეს ტელეფონზე დარეკვით დაერთება. სისტემამ დააგენერიროს ქართულ ნომერი +995 (საქართველოს სატელეფონო კოდი) და შეხვედრის უნიკალური PIN კოდი. ასევე საერთაშორისო ნომრებით.
26. კონფერენციის მსვლელობისას შესაძლებელი უნდა იყოს ეკრანის გაზიარება და რეალურ დროში ვიდეო+აუდიო ჩანაწერების გაკეთება და შენახვა ღრუბლოვან საცავში. (ჩაწერის შესაძლებლობა არანაკლებ ლიცენზია-2 მომხმარებლებისთვის).

27. უნდა ჰქონდეს, ინტეგრირებული სპამ ფილტრი, ჩაშენებული ანტივირუსი, POP3, SMTP, SSL/TLS .
28. უნდა ჰქონდეს ორნაბიჯიანი ავტორიაცია (2-step verification), SSO (Single sign-on).
29. უნდა ჰქონდეს სერვისი, რომლის საშუალებითაც შეიქმნება სხვადასხვა სახის გამოკითხვებისთვის საჭირო კითხვარები და განხორციელდება შეგროვებული პასუხების ანალიტიკა;
30. უნდა ჰქონდეს სერვისის მართვის პანელზე წვდომა ბრაუზერით, ასევე უნდა ჰქონდეს მობილური აპლიკაცია Android და iOS ოპერაციული სისტემებისთვის;
31. მომწოდებელმა დამკვეთს უნდა მიაწოდოს ადმინისტრატორის მთავარი მომხმარებლის პაროლი;
32. მომწოდებელმა დამკვეთთან კონსულტაციებით უნდა დაგეგმოს და განახორციელოს არსებული კორპორატიული მეილების სრული მიგრაციის პროცესი. გააცნოს დამკვეთს ზუსტი გეგმა და პროცესის მიმდევრობა. სინქრონიზაციის დასრულება არაუმეტეს ხელშეკრულების დადებიდან 3 კვირის განმავლობაში.
33. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სრული მიგრაცია არსებული მეილების მიმოწერის(მეილბოქსი) გადატანა ახალ ღრუბლოვან პლატფორმაზე.
34. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსულტაციები და საინფორმაციო ტრენინგი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან და სამიზნე ჯგუფებთან (8 საათი).
35. მომწოდებელმა უნდა გააცნოს დამკვეთს სერვისით სარგებლობის საუკეთესო პრაქტიკები.

შენიშვნა: მომწოდებელს არ აქვს დამკვეთის ინფრასტრუქტურაზე (კომპიუტერებზე და სისტემებზე და ლიცენზიებზე) აუდიტის ჩატარების უფლება, უნდა შემოიფარგლოს ელექტრონული ფოსტის და ზემოთ აღნიშნული სერვისების მომსახურების უზრუნველყოფით;

მომწოდებელი უნდა იყოს მწარმოებლის პირდაპირი პარტნიორი, უნდა ყავდეს მწარმოებლის მიერ სერთიფიცირებული, ქართულენოვანი თანამშრომლები საქართველოში.

მინიმალური გამოცდილება: მომწოდებელს ერთხელ მაინც ბოლო ორი წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს დადასტურებულად წარმატებით ჩატარებული, შემოთავაზებული სერვისის მიწოდება-დანერგვა, არსებული მეილბოქსების მიგრაციის ჩათვლით.